



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

6 ნომბრი 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №335

#### უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 15 ოქტომბრის №1/1-911 ბრძანების შესაბამისად:

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ქ. ოზურგეთში (მოიდანახეს ტერიტორია) მდებარე 55206 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სასაფლაო, ს/კ.№26.26.43.040), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს მითითებული უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

**მუხლი 2.** სსიპ „საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

**მუხლი 3.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე